პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 236 (5266) 28 ნოემბერი, ხუთშაბათი. 1974 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ტალინი. ექსპერიმენტული სათხილამურო ფაბრიკა „დინამოს" კოლექტივი დაუღალავად შრომობს პროდუქციის ხარისხის ამაღლებისთვის. დამყარებულია მჭიდრო კავშირი საბჭოთა ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და სპორტსმენებთან, ეძებენ ახალ მასალებს.

საწარმოს პროდუქცია იგზავნება საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, მონღოლეთში, კანადაში. რამდენიმე სახეობის თხილამურებმა, მათ შორის სარბოლომ, სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიიღო.

წლეულს გამოუშვებენ 80 ათას წყვილ თხილამურს, შარშანდელზე 13 პროცენტით მეტს.

* * *

სურათზე: ფაბრიკის თანამშრომელი ტ. სმირნოვა მაღალხარისხოვანი თხილამურების: „ესტონიას", „ესტონია-ელიტას" და „პიონერის" დემონსტრირების დროს.

ე. ტარკპეის ფოტო. (საკდესი).



სვერდლოვსკის ოლქი. ურალში ზამთარი დადგა და დაბა კიტლიმის სპორტსმენები სათხილამურო ტრასებზე გავიდნენ. ჩატარდა პირველი შეჯიბრება — მოთხილამურეები პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადისთვის ემზადებიან. პრიზები გათამაშდა სპრინტერულ მანძილებზე. ქალთა შორის ყველას აჯობა სპარტაკელმა ლ. დორონინამ. ვარჯიში გრძელდება.

* * *

სურათზე: დორონინა დისტანციაზე.

ა. გრახოვის ფოტო (საკდესი).

# ფედერაცია გაიყო

## ახალი ფედერაციის ახალი ამოცანები

ამას წინათ თბილისში გაიმართა საქართველოს სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციის პლენუმი, რომელმაც მოისმინა 1972 წლის შემდეგ გაწეული მუშაობის ანგარიში და აირჩია ახალი ხელმძღვანელი ორგანოები.

პლენუმი გახსნა ფედერაციის თავმჯდომარემ თ. ფხაკაძემ.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო სპორტისა და მთამსვლელობის კათედრის გამგე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ფ. ნავერიანი.

მომხსენებელმა ილაპარაკა რესპუბლიკის მთიან რაიონებში სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის, სათხილამურო ფედერაციის მიერ გაწეულ მუშაობაზე, ბაზების ქსელის გაფართოებაზე, სპორტსმენთა დაოსტატებაზე, საკავშირო შეჯიბრებებში მათს მონაწილეობაზე, რესპუბლიკაში სამთო-სათხილამურო სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებებზე და ხელშემშლელ მიზეზებზე, ბაკურიანში, მესტიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ამბროლაურის, თნის, ყაზბეგის, დუშეთის, ახალქალაქის, ადიგენისა და სხვა რაიონებში სპორტული ბაზების სიმცირეზე, დაწყებულ მშენებლობათა უსაშველოდ გაჭიანურებაზე, რესპუბლიკის სათხილამურო ინვენტარით მომარაგებაზე...

ითქვა, რომ ბაკურიანში, ბოლო წლებში ბაზების ქსელის გაფართოებისთვის ჩატარებული მნიშვნელოვანი მუშაობის მიუხედავად, საბაგირო გზები მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. კოხტაგორაზე არსებული საბაგირო გზა კაპიტალურად შესაკეთებელია, მიტარბი — კოხტაგორა 2-ის საბაგირო გზის მშენებლობის, მისი კეთილმოწყობის ყველა სამუშაო ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. 90 და 70-მეტრიანი ტრამპლინები, რომლებმაც უკვე არაერთ შეჯიბრებას უმასპინძლეს, კეთილმოსაწყობია. მათი უხარისხოდ აგების გამო ბევრი რამ თავიდან გასაკეთებელი გახდა.

მესტიაში საშველი არ დაადგა ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინისა და საბაგირო გზის მოწყობას. რესპუბლიკის სხვა თოვლიან რაიონებს არავითარი სპორტული ნაგებობები არა აქვთ, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები კი ამ ნაკლის აღმოფხვრისთვის არაფერს აკეთებენ. ყოველივე ეს აფერხებს რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის განვითარებას, უძლიერესი სპორტსმენებით საქართველოს ნაკრების დაკომპლექტებას, რამაც თავი წლევანდელ ზამთრის III საკავშირო სპარტაკიადაშიც იჩინა.

პლენუმზე მწვრთნელთა საბჭოს მუშაობის შესახებ სიტყვით გამოვიდა მწვრთნელთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი მ. გავა, ხოლო მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის საქმიანობაზე ილაპარაკა ამ პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა კ. ასტახიშვილმა.

შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ: ა. გვალია, ა. ბალაევიჩი, ლ. მესხიშვილი, გ. ჯაფარიძე, ა. აგეევა, ვ. მალოვიჩკო და სხვ.

პლენუმმა დაადასტურა საქართველოს სპორტკომიტეტის წინადადება სათხილამურო ფედერაციის სამთო-სათხილამურო და სათხილამურო და საციგაო სპორტის ფედერაციებად გაყოფის შესახებ.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტული სამმართველოს უფროსმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ჯაიანმა.

დასასრულს მოეწყო სამთო-სათხილამურო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ თ. ფხაკაძე აირჩიეს, მოადგილედ — ფ. ნავერიანი, პასუხისმგებელ მდივნად — ა. აგეევა. მწვრთნელთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეობა ისევ მ. გავას დაევალა, ხოლო მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ო. გელაშვილი აირჩიეს.

პლენუმმა ფედერაციის მუშაობის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით შეიმუშავა ღონისძიება.

## ვ. გოგლიძის III მემორიალი

### მასპინძელია ჩვენი ჭადრაკის სასახლე

ჩვენში მუდამ დიდი პატივისცემით იხსენებენ ჭადრაკში პირველ ქართველ ოსტატს ვ. გოგლიძეს. 1970 წლიდან ტრადიციად იქცა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის გამართვა.

ვ. გოგლიძის I მემორიალში ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა ბ. გურგენიძემ, რომელმაც I-II ადგილები გაიყო დიდოსტატ მ. ტალთან. ამ წარმატებით მან ქართველთაგან პირველმა მოიპოვა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება.

II მემორიალში მსოფლიო ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა საბჭოთა კავშირში პირველმა დაიმსახურა ოსტატის წოდება ვაჟთა შორის. ამ ტურნირში თავი ისახელეს, აგრეთვე, თბილისელმა მოჭადრაკეებმა ე. გუფელდმა, ბ. გურგენიძემ, თ. გიორგაძემ და ე. უბილავამ.

დღეს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, დაიწყება ვ. გოგლიძის III მემორიალი. სათამაშოდ მიწვეულია 16 მოჭადრაკე. სტუმრებს შორის არიან: დიდოსტატი რ. ხოლმოვი (მოსკოვი), საერთაშორისო ოსტატები ლებრედო (კუბა), ვ. ჩოკილტია (რუმინეთი), რ. კინი (ინგლისი), ვ. შმიდტი, ა. შნაპიკი (ორივე — პოლონეთი), გ. სიგურიონსონი (ისლანდია), ი. ბოხასიანი (ბულგარეთი), ვ. ბაგიროვი (ბაქო) და სხვ.

მასპინძელთაგან ითამაშებენ: მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, დიდოსტატები ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, ოსტატები — საქართველოს ჩემპიონი ე. უბილავა და თ. გიორგაძე.

III მემორიალი 16 დეკემბრამდე გაგრძელდება და მიმზიდველ სპორტულ ბრძოლას გვპირდება.

თ. გიორგაძე,
მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

## არჩეულია ახალი ვიცე-პრეზიდენტი

26 ნოემბერს მოსკოვში შედგა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო საბჭოს (სიეპს-ის) გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელზეც ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. დავიდოვი.

სიეპს-ის გენერალური ასამბლეა დაუკავშირეს მოსკოვში მიმდინარე საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესს „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში".

(საკდესის კორ.).

◆ ლისაბონი, 27 ნოემბერი. პორტუგალია — სსრ კავშირის მეგობრობის ასოციაციის მოწვევით აკრობატიკაში, მხატვრულ და სპორტულ ტანვარჯიშში საჩვენებელი გამოსვლების ჩასატარებლად აქ ჩამოვიდა საბჭოთა სპორტსმენთა ჯგუფი. სტუმართა შორის არიან ა. ზასუხინა, ს. კუდინოვა, ლ. სავინა, ვ. პისმენი, ა. დიტიატევი და ვ. ტიხონოვი. გამოსვლებზე დასასწრები ყველა ბილეთი ჯერ კიდევ სსრ კავშირის სპორტსმენთა ჩამოსვლამდე გაიყიდა.




◆ სტოკჰოლმი, 27 ნოემბერი. გიოტებორგში გაიმართა „მშვიდობის თასზე" ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრების ფინალური მატჩი. საპატიო პრიზს ზედიზედ მეორედ დაეუფლა იუგოსლავიის ნაკრები, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში პოლონეთის ეროვნულ გუნდს აჯობა — 17:16 (7:7). ბრინჯაოს ჯილდოები გდრ-ის ხელბურთელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ტროლჰეტანში ანგარიშით 23:19 (10:9) სძლიეს სსრ კავშირის ნაკრებს. ამრიგად, საბჭოთა ხელბურთელები IV ადგილზე გავიდნენ. მომდევნო ადგილებზე არიან რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და შვეციის წარმომადგენლები.

# სპორტის მეცნიერებათა კონგრესი გაიხსნა

26 ნოემბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი — „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში". ამ დიდმა საერთაშორისო ფორუმმა თავი მოუყარა სპორტის მეცნიერებათა ყველა „დარგის" ათასამდე წარმომადგენელს ხუთი კონტინენტის 45 ქვეყნიდან. ისინი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. კოსიგინის მისალმებას კონგრესისადმი. ამ მისალმებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დღეს სპორტი ხალხთა დაახლოების, მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების, ახალგაზრდობის აღზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მეცნიერული პრობლემების ერთობლივი და ყოველმხრივი განხილვა, საქმიანი დისკუსია კონგრესის მუშაობის პერიოდში, — ნათქვამია მისალმებაში, — ხელს შეუწყობს სპორტის მეცნიერებათა შემდგომ განვითარებას, რაც განაპირობებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლის ამაღლებას თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში.

კონგრესის გახსნაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა კონგრესის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო პრეზიდენტმა, იუნესკო-ს სპორტისა და ფიზაღზრდის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ფ. ნოელ-ბეიკერმა (ინგლისი).

შემდეგ კონგრესის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი. „ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობა, — თქვა მან, — დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. ფიზკულტურამ და სპორტმა ჩვენში ჭეშმარიტად მასობრივი განვითარება ჰპოვა. ამჟამად საბჭოთა კავშირში 50 მილიონზე მეტი ფიზკულტურელია".

კონგრესის მონაწილეებს გადაეცათ, აგრეთვე, მისალმებები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისგან, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა და პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდიუმებისგან.

26 ნოემბერს შედგა სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საერთაშორისო საბჭოს გენერალური ასამბლეის სხდომა.

საკდესი-ტელეტიპიდან




## ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# დიდი ფორუმის შესახვედრად

ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა. საქართველოს სპორტსმენები ემზადებიან ამ დიდი ფორუმის შესახვედრად. რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა ყველა ნაკრებ გუნდში ჩაატარა კრებები, სადაც განხილული იყო მომავალი სპარტაკიადისთვის ჩვენი სპორტსმენების მზადების მიმდინარეობის საკითხები.

კრებებზე გამოდიოდნენ მწვრთნელები, კომორგები და ექიმები, კაპიტნები და გუნდების წევრები. ისინი ლაპარაკობდნენ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაზე, სპორტულ რეჟიმზე, გუნდებისა და ცალკეული სპორტსმენების ამოცანებზე, აგრეთვე, იმ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც დისონანსი შეაქვს ნაკრები გუნდების მზადებაში.

საკითხების განხილვის დროს გამოაშკარავდა გუნდების მზადებაში არსებული ბევრი ნაკლი, მთელი რიგი მიზეზები, რაც ჭერჭერობით ხელს უშლის დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას. დაისახა გზები ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის.

კრებების მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ბალავაძე და დ. პერტენავა, კომიტეტის სპორტული სამმართველოს უფროსი ს. ჭაიანი, სპორტული განყოფილებების გამგეები ა. არხანგელსკი, დ. კაპცოვი და გ. გაჩეჩილაძე, აგრეთვე, კომიტეტის მთავარი მწვრთნელები სპორტის სახეობების მიხედვით.

კრებების ჩატარებამ ხელი შეუწყო საქმიანი ატმოსფეროს შექმნას გუნდებში, ეს კი განაპირობებს იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრას, რომლებიც საქართველოს სპორტსმენების წინაშეა დასახული სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში.

ამ დღეებში ტარდება რესპუბლიკური ფედერაციების კონფერენციები სპორტის სახეობათა მიხედვით, სადაც ძირითადად ყურადღება სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის მზადების საკითხს ექცევა.



# გულგრილობის [illegible] მუშაობა არ უნდა შესუსტდეს

რესპუბლიკის ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივში, რაიონულ კომიტეტში, სპორტსაზოგადოების საბჭოში ამ ბოლო ხანს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას სათანადო ყურადღება აღარ ექცევა. მაგალითად, წინა წლებში ნორმატივების ჩამბარებელთა მოსამზადებელ ჯგუფებში გაცილებით მეტი მუშა-მოსამსახურე, სტუდენტი და მოსწავლე იყო ჩაბმული, კომპლექსის პროგრამით გამართულ შეჯიბრებებშიც მეტი ფიზკულტურელი გამოდიოდა, წლეულს კი ბევრგან მდგომარეობა შეიცვალა.

შარშან თბილისის ლენინის სახელობის რაიონში 8881 მშდ კომპლექსის ნიშნოსნის მაგიერ ყველა საფეხურზე 6140 ნიშნოსანი მომზადდა, წლეულს კი, როგორც ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, სურათი მკვეთრადაა შეცვლილი: ბევრმა მოწინავე ორგანიზაციამაც კი ეს საქმე თვითდინებაზე მიუშვა.

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მშდ კომპლექსის ნორმატივების მიმღებ კომისიას სათავეში ავტორიტეტული პიროვნება, ამ საწარმოს დირექტორის მოადგილე პ. ჩიგოგიძე ჩაუყენეს, მაგრამ კომისია მხოლოდ სამუშაო გეგმის შედგენით დაკმაყოფილდა. წლეულს არც სხდომები ჩაუტარებიათ და, რა თქმა უნდა, არც სხდომების ოქმები აქვთ.

ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორს ფ. კოლესიდის მეტი გულისყური რომ გამოეჩინა, მშდ კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისია მინდობილ საქმეს უფრო გულისხმიერად რომ მოჰკიდებოდა, ქარხნის 2500-ზე მეტი თანამშრომლიდან შარშან ნორმატივებს მხოლოდ 124 კაცი როდი ჩააბარებდა.

ნაკლის გამოსწორებას წლეულს შეეცადნენ — ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებაში 285 კაცი ჩააბეს, მაგრამ, სამწუხაროდ, შემოწმების დღისთვის ყველა ნორმატივი არავის ჰქონდა ჩაბარებული. რა აფერხებთ? ქარხნის სპორტკლუბ „გამარჯვებას" ყველა სახის სპორტული ბაზები აქვს, მაგრამ საწარმოში სუსტადაა დაყენებული ფიზკულტურისა და სპორტის, განსაკუთრებით მშდ კომპლექსის პროპაგანდა, საქმიანი კონტროლი. საწარმოს კომკავშირის კომიტეტს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საკითხებზე ერთხელაც არ უმსჯელია.

ანალოგიური მდგომარეობაა ზამბახური ლვინოების ქარხნის (კომისიის თავმჯდომარე — ქარხნის დირექტორის მოადგილე ნ. ქარაზანაშვილი, ფიზკულტურის მეთოდისტი ფ. მაყულაშვილი) ფიზკულტურის ორგანიზაციაში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამ საწარმოში 500-მდე მუშა-მოსამსახურეა, ნორმატივები კი შარშან 80 კაცმა ჩააბარა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ მშდ კომპლექსის დანერგვის საკითხზე ერთხელ (7 აპრილს) იმსჯელა.

პლასტმასის ქარხნის (კომისიის თავმჯდომარე — პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ხეცურიანი) ფიზკულტურულ კოლექტივში მშდ კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისია არაფერს აკეთებს. არადა, ამ საკითხით ყველაზე მეტად ხომ სწორედ პროფკავშირის საქარხნო კომიტეტი უნდა იყოს დაინტერესებული, ვინაიდან მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება თვითმიზანი კი არ არის, არამედ მშრომელთა ჯანსაღების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამიტომაც ხეცურიანი ამ საქმეს გულგრილად არ უნდა ეკიდებოდეს. საწარმოში კომპლექსის დანერგვისთვის გაწეული მუშაობის დამადასტურებელი არავითარი საბუთი (ჩამბარებელთა სიები, ჩაბარების ოქმები) არ აღმოაჩნდათ. სიტყვიერი განცხადებით კი გამოირკვა, თითქოს ნორმატივები შარშან 100-მდე კაცს ჩაებარებინოს (1000-მდე მუშა-მოსამსახურიდან!).

წლეულს ქარხანაში მეთოდისტად მ. ფულარია დანიშნეს. მოსალოდნელი იყო, რომ მდგომარეობა გამოსწორდებოდა, მაგრამ... ასევე სიტყვიერ განცხადებას თუ დავუჯერებთ, წლეულს კომპლექსის ყველა ნორმატივი 40 მუშა-მოსამსახურეს ჩაუბარებია (დოკუმენტაცია არც წლეულს შეუდგენიათ).

ქარხნის კომკავშირულმა ორგანიზაციამ 26 ივლისს მოისმინა კოლექტივში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საკითხი, მაგრამ, სავალალო ფაქტების მიუხედავად, არავითარი დადგენილება არ მიუღია.

დიდია თბილისის მეტროპოლიტენის კოლექტივი. აქ 2400-მდე თანამშრომელია, ფიზკულტურის მეთოდისტი კი არ ჰყავთ. მშდ კომპლექსის კომისიის თავმჯდომარეობა დისტანციის უფროს ჯ. გოგლიჩიძისთვის დაუვალებიათ, მაგრამ ის აღარ უთქვამთ, როგორ უნდა იმუშაოს, რა აკეთოს. ამიტომაც კომისია არაფერს აკეთებს.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ელმავალსაშენებელი ქარხნის (კომისიის თავმჯდომარე — პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რ. მშარელუა, ფიზკულტურის ინსტრუქტორი ა. მარანჯევი), რკინიგზის სადგურის, № 82 და № 43 პროფტექსასწავლებლების მშდ კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისიები და ფიზკულტურის მესვეურნი.

ყოველივე ამის გამოა, რომ ლენინის სახელობის რაიონის 200 ათასზე მეტი მცხოვრებიდან მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში შარშან მხოლოდ 21 ათასამდე კაცი იყო ჩაბმული.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ამას წინათ სპეციალურად იმსჯელა ლენინის სახელობის რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მშდ კომპლექსის დანერგვის მდგომარეობის შესახებ და ჩამორჩენილი ორგანიზაციების ფიზკულტურის ინსტრუქტორებსა და მეთოდისტებს ნაკლოვანებებისთვის მკაცრად მიუთითა. ლენინის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საქალაქო საბჭოებს, მშდ კომპლექსის საქალაქო კომისიას დაევალათ რაიონის ორგანიზაციებს სათანადო დახმარება აღმოუჩინონ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

# ტრადიციის სათავე

ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებას აქვს არა მარტო სპორტული, არამედ ორგანიზაციული მხარეც, რომელზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. მართლაც, ცუდად მოწყობილი ასპარეზობა, რაგინდ სახელგანთქმული სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ მასში, პრესტიჟსა და ლაზათს კარგავს. ასეთი შეჯიბრებით უკმაყოფილონი რჩებიან პირველ ყოვლისა სპორტსმენები და, რა თქმა უნდა, მაყურებლებიც.

... გაზვიადებად ნუ ჩაგვითვლით და ძალიან ბევრი სახეობის ჩამორჩენაში ჩვენს რესპუბლიკაში ლომის წილი ტურნირების უხეიროდ ჩატარებაზე მოდის. აბა, გვითხარით, რა სპორტულ შედეგზე შეიძლება ლაპარაკი, როცა შეჯიბრება არაორგანიზებულად, უდისციპლინოდ, დებულების დარღვევით ტარდება?

ვგონებ, სიტყვა გაგვიგრძელდა. ამ ზოგადი შესავლის შემდეგ გვინდა კონკრეტულ შეჯიბრებაზე გითხრათ ორიოდე სიტყვა.

ფარიკაობის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ჩვენი რესპუბლიკის მუშკეტერებმა ქარს გაატანეს საუკეთესო ტრადიციები, რაც წინამორბედებმა წვითა და დაგვით მოიპოვეს. ვიმეორებთ, ამ ჩამორჩენაში ძალიან დიდი როლი ითამაშა რესპუბლიკური ასპარეზობების უპასუხისმგებლოდ გამართვამაც.

ბოლო ხანებში საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ ბევრი რამ გააკეთა, რათა ტურნირები ნორმალურად ჩატარებულიყო. და აი, შედეგიც: ქართველი მუშკეტერები უკეთ გამოდიან საკავშირო ტურნირებში.

... ამას წინათ საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის საფარიკაო დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის ფარიკაობის სპეციალიზებული სკოლის პირველობა. ეს შეჯიბრება შეიძლება ჩაითვალოს იმის ნიმუშად, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ესა თუ ის ასპარეზობა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საფარიკაო ტურნირი ასე მწყობრად არასოდეს გამართულა. ყოველივე ამან კი შედეგებზეც დიდი გავლენა იქონია.

მადლობის მეტი რა გვეთქმის სკოლის დირექტორის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. სვეტილკოსა და შეჯიბრების მთავარი მსაჯის, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის ო. დიდებულიძის მიმართ. მსგავსი შეჯიბრება პირველად გაიმართა და მით უფრო სასიხარულოა, რომ კარგ ტრადიციას თავიდანვე ჩაეყარა მყარი საძირკველი.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ამ ტრადიციას არათუ არ დაკარგავენ, არამედ უფრო მეტად გაამრავალფეროვნებენ და გაალამაზებენ...

სკოლის ჩემპიონობა მოიპოვეს: რაპირით შეჯიბრებაში — ი. სიდამონიძემ (ვაჟებში), მ. გაბუნიამ (ქალებში), დაშნით — დ. დავითიშვილმა, ხმლით — თ. ესართიამ.

ც. ფცქიალაძე.

* * *



სურათზე: დაშნით ბრძოლის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# რისთვის დაისაჯნენ მოზარდები?

მოსწავლე „დ'არტანიანები" საშემოდგომო პირველობისთვის თბილისში იბრძოდნენ. საფარიკაო ბილიკებზე გამოვიდა თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავისა და ტყიბულის სპორტული სკოლებისა თუ ჯგუფების 161 წარმომადგენელი, რომელთა შორის 40 გოგონა იყო. ციფრები უფრო დიდი იქნებოდა, ზესტაფონის განათლების განყოფილებას თბილისში გუნდის გამოგზავნისთვის თავი რომ შეეწუხებინა. როგორც გამოირკვა, ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების ხელმძღვანელობასა და ამ სახეობაში ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებს შორის არაჯანსაღ დამოკიდებულებას უჩენია თავი, რის გამოც საბოლოოდ მოზარდები დაისაჯნენ.

ტურნირი [illegible] ასაკობრივ ჯგუფში ტარდებოდა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამის განყოფილებას, როცა ამ ასპარეზობას მართავდა, 1976 და 1978 წლების მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებისთვის რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატთა შერჩევა ჰქონდა მიზნად დასახული. ამიტომ ხარბიელზე 1958-59 და 1960-61 წლებში დაბადებული ბიჭები და გოგონები გამოიყვანეს.

ცნობილია, რომ საქართველოს მოფარიკავეები მოსწავლეთა წლევანდელ საკავშირო სპარტაკიადაში კარგად გამოვიდნენ: ალმა-ათაში თბილისელებმა ლ. ზერაძემ და მ. გუგუშვილმა რაპირით ფარიკაობაში ჩემპიონობა დაისაკუთრეს, რესპუბლიკის ნაკრებმა კი საერთო გუნდურ ჩათვლაში IV ადგილი მოიპოვა.

როგორც საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ქოჩიაშვილმა გვითხრა, წარმატების განმტკიცების ერთ-ერთ მთავარ პირობად წლევანდელი საშემოდგომო ტურნირის სწორედ შემოაღწიშნული ფორმულით ჩატარება მიაჩნიათ. ასპარეზობამ თბილისის, ქუთაისის, გორის, რუსთავის სკოლების აღსაზრდელებიდან რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. მწვრთნელმა განსაკუთრებით აქო ჭაბუკი რაპირისტი მ. გურგენიძე, რომელიც თბილისის 62-ე სკოლის IX კლასში სწავლობს. უმცროსი ასაკის ჯგუფში ამ იარაღით შეჯიბრებაში მწვრთნელს ყველაზე მეტად ქუთაისის ბე-8 სკოლის მერვეკლასელი მოსწავლის ჯ. გოქაძის ფარიკაობის სტილი მოსწონებია. უფროსი ასაკის გოგონებში ქოჩიაშვილის ყურადღება მიიპყრო ქუთაისის 23-ე სკოლის მეათეკლასელმა ი. ჯანაშიამ, უმცროსი ასაკის ჯგუფში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება თბილისის 140-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლეს ა. დარბაისელს მოუხდენია.

## მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

სხვა იარაღებით ფარიკაობაში გაიმარჯვეს: ესპადრონით, უფროსი ასაკის ჯგუფში — თბილისის 28-ე სკოლის მეცხრეკლასელმა გ. პაიჭაძემ, უმცროსი ასაკის ჯგუფში — თბილისის 55-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლემ გ. თოდუამ; დაშნით, უფროსი ასაკის ჯგუფში — ქუთაისის 23-ე სკოლის მეათეკლასელმა დ. ლოსაბერიძემ, უმცროსი ასაკის მოფარიკავეთა შორის — თბილისის 53-ე სკოლის მერვეკლასელმა გ. ჯიღაურმა.

ე. გელაშვილი.

## სამლოდნოში სწრაფადნი

### ლენინგორი

მოზარდ მშვილდოსანთა (1960 წელს დაბადებულნი) რაიონულ პირველობაში 30-მეტრიან დისტანციაზე 187 ქულით ჩემპიონი გახდა მ. სტეფანოვა. II ადგილზეა მ. ხადური — 142 ქულა, III — ზ. ფსუტური — 104.

ამავე მანძილზე მოასპარეზე ვაჟებში თავი ისახელა ვეტერანმა მშვილდოსანმა, 65 წლის ზ. მღებროვმა — 297 ქულა. გამარჯვებულს 21 ქულით ჩამორჩა მისი შვილი ა. მღებრიშვილი. III ადგილზეა ო. დურგლიშვილი — 241 ქულა.

ვ. მელქონოვი.

# საბჭოთა სპორტის ეტაპები

1975 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში ჩატარდება ფინალი სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადისა, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს ეძღვნება. შეჯიბრების დევიზი ასეთია: „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის". სპარტაკიადის პროგრამაში შედის 40 სახეობა, მათ შორის — 15 სამხედრო-ტექნიკური.

როგორც მუდამ, VI საზაფხულო სპარტაკიადა დაიწყო მშდ კომპლექსის მრავალჭიდში და ცალკეულ სახეობებში გამართული მასობრივი შეჯიბრებებით ფიზკულტურის კოლექტივებსა და დოსააფის პირველად ორგანიზაციებში, საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში. ეს შეჯიბრებები დაიწყო ჯერ კიდევ შარშანდელი წლის მიწურულს, გრძელდება ახლაც და გაგრძელდება მთელი სპორტული სეზონის მანძილზე.

მოკლედ გავახსენებთ მსგავსი გრანდიოზული შეჯიბრებების ისტორიას. პირველი საკავშირო სპარტაკიადის სტარტი 1928 წლის 12 აგვისტოს მოეწყო. იგი დაიწყო წითელ მოედანზე გამართული საზეიმო აღლუმით, რომელშიც დაახლოებით 25 ათასი ფიზკულტურელი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ უცხოელი სტუმრებიც — ავსტრიიდან, უნგრეთიდან, გერმანიიდან, ნორვეგიიდან, საფრანგეთიდან, ფინეთიდან, შვეციიდან, შვეიცარიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სპორტსმენები.

სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, სპორტულ ტანვარჯიშში, ცურვაში, წყალში ხტომაში, ნიჩბოსნობაში, კრივში, ჭიდაობაში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ველოსპორტში, სროლაში, ფეხბურთში.

ჩატარდა ქორეოგრაფიული შეჯიბრებებიც. წყვილთა ხალხურ ცეკვაში პირველობა მოიპოვა საქართველოს კოლექტივმა. ვაჟთა და ქალთა ცეკვაში გაიმარჯვეს სომხეთის წარმომადგენლებმა, შერეულ ცეკვაში — უზბეკეთისა და ბელორუსიის წარგზავნილებმა.

მაშინ ფეხბურთელთა შეხვედრებს თითქმის 45 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, რაც სარეკორდო იყო. მოთამაშეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მოსკოველები: თავდამსხმელი ნ. სტაროსტინი და მისი ძმა — მცველი ალექსანდრე, ლენინგრადელი მცველი ნ. სოკოლოვი...

საინტერესო იყო ჩოგბურთელთა ტურნირის ფინალი, სადაც ლენინგრადელმა ე. კუდრიავცევმა ოთხ ხელში დაამარცხა რსფსრ-ს სახალხო არტისტი, სამხატვრო თეატრის მსახიობი ვ. ვერბიცკი.

ცურვაში თავისებური რეკორდი დაამყარა ლენინგრადელმა ა. შუმინმა: მან რვაჯერ გაიმარჯვა!

ერთ-ერთ გაცურვაში წარმატებას მოიპოვა ს. მესერერმა, რომელიც შემდეგ დიდი თეატრის სახელგანთქმული ბალერინა გახდა.

გამარჯვებულთა შორის იყვნენ უცხოელებიც. მაგალითად, კლასიკურ ჭიდაობაში ქვემძიმე წონაში გაიმარჯვა გერმანელმა ათლეტმა ვ. ზელენბინდერმა, რომელიც შემდეგში ჰიტლერელებმა მოკლეს.

სპარტაკიადის შედეგები დიდ თეატრში გამართულ საზეიმო სხდომაზე შეჯამდა. I ადგილი დაიკავა რუსეთის ფედერაციის გუნდმა. განახლდა 80-ზე მეტი საკავშირო რეკორდი.

საინტერესოა, რომ სპარტაკიადის ყოველი ოთხი მონაწილიდან სამმა სპორტში მეცადინეობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო.

სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის ფინალური ნაწილი 1956 წლის აგვისტოში მოეწყო. სპორტსმენთა ამ გრანდიოზული დღესასწაულისთვის მოსკოვის ლუჟნიკში მთელი სპორტული ქალაქი აიგო. საოცრად მოკლე დროში — ერთ წელზე ცოტა მეტ ხანში — გაჩნდა სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი, დიდი და მცირე სარბიელი, სპორტის სასახლე, ცურვისა და წყალში ხტომის აუზი, 130-მდე დარბაზი, კალათბურთის, ფრენბურთისა და რაგბის მოედნები, ჩოგბურთის კორტი, მძლეოსნური სარბიელი და საფეხბურთო მინდორი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, კომპლექსს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი ეწოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი დაიწყო შეჯიბრებები 21 სახეობაში. ფინალში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზებისა და სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო სახელისთვის იბრძოდა მოკავშირე რესპუბლიკების 9244 სპორტსმენი. მათ შორის იყვნენ 40 ეროვნების წარმომადგენლები.

ფინალური სტარტების მონაწილეებმა განაახლეს 32 საკავშირო რეკორდი, რომელთაგან 9 მსოფლიო მიღწევას აღემატებოდა.

II სპარტაკიადა 1959 წლის აგვისტოში დამთავრდა. ფეხბურთელთა შეჯიბრება არ ჩატარებულა. სამაგიეროდ, პროგრამას დაემატა მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. ფინალურ შეჯიბრებებში, რომელთაც წინ უსწრებდა მასობრივი ტურნირები ფიზკულტურის კოლექტივებში, რაიონებსა და ქალაქებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში, 8452 სპორტსმენი მონაწილეობდა (მათგან ყოველი მესამე სპორტის ოსტატი იყო).

საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის სარბიელზე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენი გამოვიდა. სულ ფინალურ შეჯიბრებათა მონაწილეებმა 12 საკავშირო რეკორდი დაამყარეს (მათგან სამი აღემატებოდა მსოფლიო მიღწევებს, ერთი — ევროპის რეკორდს). ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში გაიმარჯვა ტაჯიკეთის წარმომადგენელმა ი. ჰასანოვმა, თუმცა ამ რესპუბლიკაში ბუნებრივი წყალსატევები არ არის. კლასიკურ ჭიდაობაში ოქროს მედალი მოიპოვა ყაზახეთის წარმომადგენელმა, პირველთანრიგოსანმა ა. კოლესოვმა, რომელმაც 11 სპორტის ოსტატი ჩამოიტოვა. შემდეგში კოლესოვი ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ჰასანოვი — ევროპისა და მსოფლიო პირველობათა პრიზიორი.

მოეწყო ქვეყნის 60 საუკეთესო საწარმოო ფიზკულტურული კოლექტივის — რესპუბლიკურ და საქალაქო ტურნირებში გამარჯვებულთა ფინალური შეჯიბრება. პროგრამაში იყო ხუთი სახეობა. მძლეოსნობასა და ცურვაში ყველას აჯობეს ლენინგრადის ოპტიკურ-მექანიკური, ხოლო ველოსპორტში — რიგის ვაგონსაშენებელი ქარხნების სპორტსმენებმა. ძალოსნობაში გაიმარჯვეს ლენინგრადის კიროვის ქარხნის წარმომადგენლებმა, ტანვარჯიშში — მოსკოვის სპორტკლუბ „ფილის" ათლეტებმა.

III სპარტაკიადამ 1963 წლის აგვისტოში ფინალურ სტარტებზე თავი მოუყარა 10350 სპორტსმენს — 70 ეროვნების წარმომადგენლებს. მსოფლიო სპორტის ისტორიას ასპარეზობის მსგავსი მასშტაბები არ ახსოვდა.

საერთო ჩათვლაში შედიოდა იმავე წლის ივლისში ვოლგოგრადში გამართულ შეჯიბრებებში მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მიერ ათ სახეობაში ნაჩვენები შედეგები.

IV სპარტაკიადა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა. ფინალური შეჯიბრებები 1967 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარდა.

ფინალის პროგრამაში, გარდა „ტრადიციული" სახეობებისა, შევიდა კომპლექსური შეჯიბრებებიც: მოსწავლეებისა, ფიზკულტურული კოლექტივებისა და ტექნიკურ სახეობათა წარმომადგენლებისა. მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების დასკვნითი შეჯიბრებები 39 სახეობაში ჩატარდა, საიდანაც 16 ტექნიკური იყო. სულ ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობდა 16354 კაცი. ფინალურ შეჯიბრებათა დროს დამყარდა 46 საკავშირო რეკორდი (აქედან 32 მსოფლიოს და ევროპის მიღწევებს აღემატებოდა).

V სპარტაკიადა, ისევე როგორც ყველა წინა ასპარეზობა, მოსკოვის სპორტულ ბაზებზე მოეწყო 1971 წლის ივლისში. სარბიელზე გამოვიდა 254 ქალაქის, დასახლებული პუნქტისა და სოფლის 7382 სპორტსმენი. ფინალის პროგრამაში პირველად იყო შეტანილი სამბო, მშვილდოსნობა და ხელბურთი.

კიდევ ერთი სიახლე: მონაწილეთა ოსტატობის დონის ამაღლების მიზნით ჩათვლაში შედიოდა მხოლოდ პირველ რვა ადგილზე გასული სპორტსმენებისა და გუნდების შედეგები.

დამყარდა 30-ზე მეტი საკავშირო რეკორდი, რომელთაგან 19 აღემატებოდა ევროპის, ხოლო 18 — მსოფლიო მიღწევებს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ძალოსანმა ვ. ალექსეევმა, რომელმაც ერთ საღამოს შვიდი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

წინა ოთხ სპარტაკიადაში გამარჯვებულმა მოსკოველმა სპორტსმენებმა ამჯერად II ადგილი დაიკავეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო რსფსრ-ს ნაკრები.

ახლა საბჭოთა ფიზკულტურელებს ახალი საზრუნავი აქვთ — ზამთრის სახეობებში წარმატებით ასპარეზობა, საზაფხულო სეზონისთვის მზადება.

სახალხო სპარტაკიადების მატიანე გრძელდება.

პ. ხაჩატრიანი.



კალეიდოსკოპი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

● „ივერია" (ხაშური) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

პირველ ტაიმში სტუმრების კარში ბურთი გაიტანა რეხვიაშვილმა და ამ გოლის გაქვითვა „მეტალურგმა" ვერა და ვერ შეძლო.

● „კოლხეთი" (ხობი) — „შუქურა" (ქობულეთი) 0:1. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

ქობულეთელებს გამარჯვება მოუტანა მახარაძის მიერ 54-ე წუთზე გატანილმა გოლმა.

აღსანიშნავია ხობელ ფეხბურთელთა ყოვლად უმსგავსი საქციელი და უხეშობა. მსაჯი იძულებული იყო გაფრთხილება მიეცა ე. გვასალიას, რ. წურწუმიას და ს. ზაქარაიასთვის. გაფრთხილებულია ქობულეთელი ა. დიკოცგვასალიამ გაფრთხილება არ იკმარა, კვლავ უხეშად ითამაშა, რისთვისაც მსაჯმა იგი მინდვრიდან გააძევა.

● „სპარტაკი" (ცხინვალი) — „შუქურა" (ქობულეთი) 4:8. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

მასპინძლებმა პირველი ტაიმი წააგეს ანგარიშით 0:3. შესვენების შემდეგ გოლები ორივე გუნდის კარში უხვად გადიოდა და საბოლოოდ „შუქურამ" ამ უჩვეულო ანგარიშით გაიმარჯვა.

● „მეშახტე" (ტყიბული) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი ვ. ცქიტია (თბილისი).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ტყიბულელი ბოჭორიშვილი (ეს მისი მეორე გაფრთხილებაა წლეულს).

● „ივერია" (ხაშური) — „განთიადი" (თბილისი) 1:0. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ხაშურელი თ. ლომსაძე, რაც მისთვის მეორე შემთხვევაა მიმდინარე სეზონში.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 34 | 21 | 9 | 4 | 62—23 | 51 |
| „მადნეული" | 35 | 22 | 5 | 8 | 64—22 | 49 |
| „სალხინო" | 36 | 16 | 13 | 7 | 52—32 | 45 |
| „ეგრისი" | 35 | 18 | 8 | 9 | 60—36 | 44 |
| ასკ | 37 | 17 | 10 | 10 | 74—50 | 44 |
| „დინამო" | 34 | 17 | 9 | 8 | 65—36 | 43 |
| „ლოკომოტ." | 36 | 16 | 11 | 9 | 61—43 | 43 |
| „შუქურა" | 37 | 16 | 10 | 11 | 57—40 | 42 |
| ფიზკ. ინსტ. | 35 | 17 | 7 | 11 | 66—55 | 41 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 36 | 12 | 13 | 11 | 50—46 | 37 |
| „ამირანი" | 35 | 14 | 8 | 13 | 49—45 | 36 |
| „კახეთი" | 36 | 13 | 8 | 15 | 48—56 | 34 |
| „მეშახტე" | 36 | 13 | 8 | 15 | 46—60 | 34 |
| „ქართლი" | 35 | 13 | 6 | 16 | 61—65 | 32 |
| „კოლხეთი" | 38 | 10 | 10 | 18 | 46—66 | 30 |
| „ივერია" | 36 | 11 | 6 | 19 | 35—62 | 28 |
| „ვარძია" | 35 | 11 | 4 | 20 | 37—57 | 26 |
| „განთიადი" | 36 | 7 | 9 | 20 | 41—65 | 23 |
| „სულორი" | 38 | 6 | 7 | 25 | 33—88 | 19 |
| „სპარტაკი" | 36 | 5 | 5 | 26 | 37—97 | 15 |

### ზონალური გათამაშება

„ლესიჭინე" (ჩხოროწყუ) — „მშენებელი" (ჭიათურა) 2:2, „ქიმიკოსი" (ახმეტა) — „არაგვი" (მცხეთა) 3:2.

ქუთაისის „ავიატორი" თავის მინდორზე უნდა მიეღო ბათუმის „მშენებელი". ბათუმელები ჩავიდნენ სათამაშოდ ქუთაისში, მაგრამ მინდორზე არ გამოცხადდა... ადგილობრივი გუნდი, რისთვისაც მას ჩაეთვალა წაგება და გათამაშებიდანაც მოიხსნა.

### გათამაშების ცხრილები

აღმოსავლეთი ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არაგვი" (მც.) | 5 | 2 | 2 | 1 | 14—9 | 6 |
| „პოლიტექნიკოსი" (საგარეჯო) | 5 | 2 | 2 | 1 | 7—5 | 6 |
| „ქიმიკოსი" (ახ.) | 5 | 3 | 0 | 2 | 7—13 | 6 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 3 | 0 | 0 | 3 | 1—2 | 0 |

დასავლეთი ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი" (ბ.) | 6 | 4 | 1 | 1 | 14—3 | 9 |
| „ლესიჭინე" (ჩხ.) | 6 | 2 | 3 | 1 | 6—8 | 7 |
| „მშენებელი" (ჭ.) | 6 | 1 | 3 | 2 | 5—11 | 5 |
| „ავიატორი" (ქ.) | 6 | 1 | 1 | 4 | 6—9 | 3 |

ბათუმის „მშენებელი" გასვლა რესპუბლიკური პირველობის II ჯგუფში ითამაშებს.





ყაზახეთის სსრ. ალმა-ათის მახლობლად, მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე, საწვრთნელ მეცადინეობებს ატარებს სსრ კავშირის მოციგურავეთა ნაკრები გუნდი. მოწინავე სპორტსმენები ემზადებიან ტრადიციული ასპარეზობისთვის, რომელიც ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში ჩატარდება.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ნაკრების წევრები წვრთნის დროს; მარჯვნივ — მწვრთნელი გ. ოკუნევი.

გ. პოპოვის ფოტო. (საქდესი).

ფოტოინფორმაცია



ლატვიის სსრ. მოეწყო პირველი საკავშირო ჩემპიონატი ავტორალიში და ტრადიციული რალი „შემოდგომა". შეჯიბრებებში მონაწილეობდა 200 ეკიპაჟი. სტარტზე გამოვიდნენ „მოსკვიჩის", „ვოლგისა" და „ჟიგულის" მარკის მანქანები. ასპარეზობის სამი დღის მანძილზე სპორტსმენებმა ლატვიის გზებზე 1780 კილომეტრი გაიარეს.

ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა ეკიპაჟმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების ა. ბრუმის (იელგავა) და ს. ბრუნძას (ლიტვა) შემადგენლობით.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. ბრუმი და ს. ბრუნძა (მარჯვნივ).

ი. ციტლუხინის ფოტო. (საქდესი).

ჩვენი ქალაქი — საკავშირო სპორტული ცენტრი

## წერილი რედაქციას

# როდემდის ვტკეპნოთ ერთი ადგილი?

ლენინგორის რაიონში მშვილდოსნობის განვითარებას საფუძველი დიდი ხანია ჩაეყარა. ამ რაიონის სპორტსმენებს თვითნაკეთი ინვენტარით „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში ბევრჯერ უსახელებიათ თავი, შვიდჯერ ამ საზოგადოების თასიც კი მოიპოვეს.

მაგრამ ახლა სხვა დროა. თვითნაკეთი მშვილდები და ისრები ქარხნული წესით დამზადებულს, განსაკუთრებით, მაღალი ხარისხისას, კონკურენციას ვეღარ უწევს. ის სპორტსმენებიც კი, რომლებმაც რის ვაივაგლახით სპორტის ოსტატობის კანდიდატის ან პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულეს, კვალიფიკაციის ამაღლებას ვეღარ ახერხებენ, ვინაიდან სათანრიგო მოთხოვნები ძალიან გაიზარდა. ხარისხიანი ინვენტარით ლენინგორელთა მომარაგებას კი საშველი არ დაადგა.

სამხრეთ ოსეთში მშვილდოსანთა ერთადერთი პერსპექტიული გუნდი სწორედ ამ რაიონშია. ამას წინათ თბილისში გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში სამხრეთ ოსეთის ღირსებას მხოლოდ ლენინგორელები იცავდნენ. მათ თბილისელებისგან ითხოვეს მშვილდები და ვაჟებმა აფხაზეთის გუნდის დამარცხებაც შეძლეს, მაგრამ განა ეს საქმეს შველის?

რატომ არავინ გვაქცევს ყურადღებას? თუ სამხრეთ ოსეთის სპორტკომიტეტმა და საქართველოს სპორტკომიტეტის შესაბამისმა განყოფილებამ ხარისხიანი ინვენტარით გუნდის უზრუნველყოფისთვის არ იზრუნეს, წინსვლის არავითარი პერსპექტივა არა გვაქვს. არადა, როდემდის ვტკეპნოთ ერთი ადგილი?

ჩვენც მოგვხედონ, წვრთნისთვის საჭირო პირობები შეგვიქმნან და საქართველოს ნაკრებს სხვაზე ნაკლებად არც ლენინგორელები დავეხმარებით.

ზ. გლებროვი,
მწვრთნელი.

ლენინგორი.



## სსრ კავშირის ჩემპიონატი

### 77 : 75

ტაუნასი, 26 ნოემბერი. დღეს აქ ჩატარდა ადგილობრივი „ჟალგირისისა“ და ტარტუს „კალევის“ პირველი მატჩი. დაძაბული ბრძოლა მასპინძლებმა მოიგეს — 77:75.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 8 | 7 | 1 | 704—589 | 7 |
| ცსკა | 8 | 6 | 2 | 772—657 | 6 |
| „დინამო“ (მ.) | 6 | 5 | 1 | 525—442 | 5 |
| „დინამო“ (თბ.) | 6 | 5 | 1 | 531—508 | 5 |
| „ჟალგირისი“ | 7 | 4 | 3 | 562—565 | 4 |
| „კალევი“ | 7 | 3 | 4 | 575—569 | 3 |
| „სტროიტელი“ | 4 | 2 | 2 | 355—340 | 2 |
| „სტატიბა“ | 6 | 2 | 4 | 479—516 | 2 |
| რტი | 8 | 1 | 7 | 642—726 | 1 |
| „ურალმაში“ | 10 | 0 | 10 | 765—998 | 0 |

# რასა იქთ, დუბლიორებო?

ჟგერ უკვე ორი კვირაა, „ლელოს“ მკითხველებმა არაფერი იციან დუბლიორთა ტურნირზე. არადა, ეს შეჯიბრება მიმდინარეობს თავისი გრაფიკით, საკმაოდ მძაფრ, დაძაბულ ბრძოლაში.

საინტერესოა ერთი რამ: დუბლიორთა ტურნირს აქვს ტენდენცია, რომ დაემსგავსოს ძირითად ჩემპიონატს. უბრალო დამთხვევა ეს, რა თქმა უნდა, არ არის. ისინი, ვინც კარგად მოემზადა ძირითადი შემადგენლობებით, დუბლიორებითაც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ. აუტსაიდერი იქაც და აქაც აუტსაიდერია, იმიტომ, რომ მას, უფრო სწორად, მათ, არა ჰყავთ მაღალი კლასის ოსტატები. როგორ შეიძლება მაგალითად, კარგად თამაშობდნენ „ურალმაშის“ დუბლიორები, როცა ძირითად შემადგენლობას აგრერიგად უჭირს და სანთლით ეძებს ნამდვილ მოთამაშეებს?

„სტატიბასაც“ არ უვარგა დუბლიორები, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობას უფრო მეტად ძირითადი შემადგენლობის ბედი აწუხებს. სხვათა შორის, ლიტვის კალათბურთი წლეულს დიდი პრობლემის წინაშე დგას. ეს პრობლემა სხვადასხვა დროს რიგის წინაშეც იდგა, თბილისის, კიევის წინაშეც. შეუძლია თუ არა ლიტვას საკავშირო ჩემპიონატში ორი გუნდით მონაწილეობა იმ დროს, როცა „ჟალგირისსაც“ კი ერთობ გაურკვეველი პერსპექტივა აქვს, რომ არაფერი ვთქვათ „სტატიბაზე“? ადგილობრივი სპეციალისტები იმედის თვალით უყურებენ მომავალს და ებღაუჭებიან იდეას, რომელიც ობიექტურად სასარგებლო უნდა იყოს, მაგრამ ვიწრო საუწყებო ინტერესებით შეპყრობილნი პანიკას მისცემიან, თავისი თავის იქით არ იყურებიან.

ვისთვის ვისთვის და, ჩვენთვის, საქართველოს კალათბურთის მოყვარულებისთვის, ეს სიტუაცია ნაცნობია.

მე მგონი, ახალს არაფერს აღმოვაჩენ, თუ ვიტყვი, რომ დუბლიორთა შემადგენლობა ჩვენი კალათბურთის რეზერვია, ეს ზოგადად. კონკრეტულად? ესა თუ ის დუბლიორთა შემადგენლობა ამა თუ იმ გუნდის მომავალს წარმოადგენს. არც ეს არის ახალი აზრი, მაგრამ ცალკეულ კოლექტივთა დაპირისპირებისას ერთობ საინტერესო სურათს იძლევა.

ცსკა-ს დუბლიორებმა 8 შეხვედრა ჩაატარეს და ყველა მოიგეს, ესე იგი ჩემპიონს საუკეთესო რეზერვი ჰყავს. უფრო მეტიც: ამ ახალგაზრდულ კოლექტივს დღესვე შეუძლია ძირითად ტურნირში მონაწილეობა და კაცმა არ იცის, კიდევ რამდენ მეტოქეს ჩამოიტოვებს უკან. აი, ამას ჰქვია რეზერვი!

კარგი რეზერვი ჰყავთ „სპარტაკს“, მოსკოვის „დინამოს“. ეს ძირითადი გუნდის მწვრთნელებს მანევრირების დიდ საშუალებას აძლევს. რეზერვმა ძირითადი გუნდი უნდა მოამარაგოს ისე, რომ შემადგენლობებს შორის მთლიანობა არ დაირღვეს.

კარგი რეზერვი ჰყავს თბილისის „დინამოსაც“, ჯერ სულ ახალგაზრდა, უდავოდ პერსპექტიული. მოთამაშეებს, მართალია, გამოცდილება აკლიათ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. დინამოელთა უფროს მწვრთნელს ლევან მოსეშვილს გადაწყვეტილი აქვს სულ მალე გამოსცადოს დუბლებს შორის ყველაზე ნიჭიერი კალათბურთელები. ეს სწორი გადაწყვეტილებაა. ვერსად ვერ მიიღებს ახალგაზრდა ისეთ გამოცდილებას, როგორსაც თავის მომავალ გუნდში, უფროსი ამხანაგების გვერდით თამაშში.

ნ. ახვლედიანი.

* * *

ახლა მოგაწვდით იმ შედეგებს, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ დაბეჭდილა: „სპარტაკი“ — „კალევი“ 92:72, 81:77, „დინამო“ (მოსკოვი) — რტი 99:81, 113:89, „ურალმაში“ — „სტროიტელი“ [illegible] 99:95, 77:100, „სტატიბა“ — რტი 74:76, 73:80, „სპარტაკი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 91:82, 71:73, „სტატიბა“ — „კალევი“ 81:93, 78:89, „ურალმაში“ — ცსკა 85:103, 64:93, „ჟალგირისი“ — რტი 91:85, 102:76.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 8 | 8 | 0 | 717—525 | 8 |
| „სპარტაკი“ | 8 | 6 | 2 | 702—601 | 6 |
| „დინამო“ (მ.) | 6 | 5 | 1 | 616—457 | 5 |
| „კალევი“ | 6 | 4 | 2 | 551—460 | 4 |
| „ჟალგირისი“ | 6 | 4 | 2 | 511—477 | 4 |
| „სტროიტელი“ | 4 | 3 | 1 | 346—316 | 3 |
| „დინამო“ (თბ.) | 6 | 2 | 4 | 441—519 | 2 |
| რტი | 8 | 2 | 6 | 642—724 | 2 |
| „სტატიბა“ | 6 | 0 | 6 | 438—522 | 0 |
| „ურალმაში“ | 10 | 0 | 10 | 714—1077 | 0 |







სისწრაფე... ეს არის ამ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი მომენტების არსი, დედააზრი. მოტოკროსში და სამთო-სათხილამურო სპორტში წარმატების მოპოვება მხოლოდ დიდი სისწრაფის მეშვეობით შეიძლება. მაგრამ რამდენი შრომაა საჭირო ამ სისწრაფის მისაღწევად. იგი ხომ დაფუძნებულია მრავალწლიან, გულმოდგინე ვარჯიშზე, კარგ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაზე და, რასაკვირველია, ტექნიკურ ალჭურვილობაზეც.

ეს სურათები სწორედ სპორტის ამ ულამაზეს და ვაჟკაცურ სახეობებზე მოგვითხრობს.

პრენსა ლატინასა და იუნაიტედ პრესის ფოტოები.






### 6 მატჩი

როგორც გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, მსოფლიო ჩემპიონებს — დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებს გაისისთვის 6 მატჩი აქვთ დაგეგმილი: 12 მარტს ისინი ლონდონში შეხვდებიან ინგლისელებს, 27 აპრილს სოფიაში — ბულგარელებს (ევროპის ჩემპიონატი), 3 სექტემბერს ვენაში — ავსტრიელებს, 11 ოქტომბერს გფრ-ის ერთ-ერთ ქალაქში — ბერძნებს (ევროპის ჩემპიონატი), 19 ნოემბერს გფრ-ის ერთ-ერთ ქალაქში — ბულგარელებს (ევროპის ჩემპიონატი) და 20 დეკემბერს, ასევე საკუთარ მინდორზე — თურქებს.

● ●

### ჯერ არ დაუნიშნავთ...

დიდი (ვალდირ პერეირა) ჯერ არ დაუნიშნავთ ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად, თუმცა ეს საკითხი ფაქტიურად გადაწყვეტილია. მაისის დამლევამდე დიდი კვლავ იმუშავებს თურქეთის „ფენერბახჩეს“ მწვრთნელად, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდება.

ამას წინათ დიდი რიო-დე-ჟანეიროში იყო, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ პაჩეკოსთან და კულტურის მინისტრ ბრაგასთან, რომელმაც ოფიციალურად შესთავაზა მას ნაკრების მწვრთნელის პოსტი.

ზაგალოს გადადგომის შემდეგ ბრაზილიის ნაკრებს მწვრთნელი არა ჰყავს და მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გუნდს არც ერთი მატჩი არ უთამაშია.

● ●

### ცენტრალური ამერიკის ჩემპიონთა თასისთვის

ისევე როგორც ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში, ცენტრალურ ამერიკაშიც ტარდება შეჯიბრება ჩემპიონთა თასზე, რომელშიც ცენტრალური ამერიკის ყველა ქვეყანა მონაწილეობს.

დამთავრდა თასის მორიგი გათამაშება. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გვატემალის ჩემპიონი „მუნისიპალი“ და სურინამის ჩემპიონი „ტრანსვალი“. გაიმარჯვა „მუნისიპალმა“ — 2:1.



● ტაშკენტი, 25 ნოემბერი. უზბეკეთის საჭადრაკო მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორის ა. ხოჯაევის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში I-II ადგილები გაიყვეს ოსტატმა ა. ნოვოპაშინმა (დნეპროპეტროვსკი) და დიდოსტატმა ა. ლეინმა (მოსკოვი) — 11,5-11,5 ქულა 15-დან.

### უარი მასპინძლობაზე

ბელგრადი, 25 ნოემბერი. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ფიზიკური კულტურის კავშირის პრეზიდიუმმა გამოაცხადა, რომ უარს ამბობს 1975 წლის უნივერსიადის მასპინძლობაზე, რომლის ჩატარებაც ბელგრადში იყო განზრახული. როგორც გაზეთი „ბორბა“ წერს, ეს ნაბიჯი გამოწვეულია ქვეყნის სახალხო მეურნეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით და სახსრების ეკონომიის აუცილებლობით. (საკდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). ვ. გოგლიძის III მემორიალი. 28 ნოემბერი-16 დეკემბერი. 28 ნოემბერს შედგება I ტური, 29-ში — II, 30-ში — III ტური. დასაწყისი 16 ს.

ხვალ

საქართველოს ალპიურ კლუბში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება სათხილამურო და საციგაო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის დამფუძნებელი პლენუმი

დასაწყისი 12 ს.

30 ნოემბერს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პლენუმი.

დასაწყისი 14 ს.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.